[უძ]რავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება

1. ხელშეკრულების საგანი

და მეორეს მხრივ კახაბერი ლალიაშვილი (დაბადებული [illegible]
12001064689 რეგისტრირებული მისამართზე: გარდაბანი, სოფ. თელეთი) რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „ქონების მიმღები"

დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1.2. ქონების გადამცემი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ქვემო თელეთი 2009" წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის ბესიკ ვარდიაშვილის სახით 2012 წლის 07 მარტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ააიპ "ქვემო თელეთი 2009"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (დამოწმებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განცხ. რეგისტრაციის № 882012096531) 3.1.2. მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების მიზნით გადასცემს უძრავ ნივთს – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 5001.00 კვ.მ. მდებარე მისამართზე: გარდაბანი, სოფ. თელეთი, რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „ხელშეკრულების საგანი".

ხოლო ქონების მიმღები კახაბერი ლალიაშვილი იღებს უძრავ ნივთს – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 5001.00 კვ.მ. მდებარე მისამართზე: გარდაბანი, სოფ. თელეთი, რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „ხელშეკრულების საგანი".

2. ხელშეკრულების საგანის მახასიათებელი

1. ნასყიდობის საგნის მახასიათებლებია:

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| გარდაბანი | თელეთი | | |
| 81 | 03 | 08 | 715 |

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 5001.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 81.03.08.375

3. მესაკუთრე

3.1. ხელშეკრულების საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის ქონების გადამცემს-არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს "ქვემო თელეთი 2009", რაც დასტურდება ამონაწერით მომზადებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 81.03.08.715 განცხადების რეგისტრაცია №882012235593

4. ხელშეკრულების საგნის ფასი

მხარეთა განცხადებით „ხელშეკრულების საგნის" ქონების მიმღებისათვის გადაცემა ხდება უსასყიდლოდ, თანახმად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ააიპ "ქვემო თელეთი 2009"-ს შორის 2012 წლის 07 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებისა,

ბესიკი ვარდიაშვილი          კახაბერ ლალიაშვილი

დამოწმებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განცხ. რეგისტრაციის № 882012096531."

ქონების გადამცემის მიერ ჯეროვნადაა შესრულებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლით დადგენილი ვალდებულება და მის მიერ სრულად არის გადახდილი საპრივატიზებო ფასი, რასაც ადასტურებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 17 აპრილის № 13/8217 წერილი.

ქონების მიმღები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია და იზიარებს 2012 წლის 07 მარტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ "ქვემო ქართლი 2009"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ განსაკუთრებულ პირობებს.

## 5. ხელშეკრულების საგნის გადაცემა

ქონების მიმღებისათვის „ხელშეკრულების საგნის" საკუთრებაში გადაცემა მოხდება საჯარო რეესტრში ქონების მიმღების მესაკუთრედ რეგისტრაციისთანავე.

## 6. მხარეთა უფლება მოვალეობები

6.1. ქონების მიმღები ვალდებულია:

6.1.1 განახორციელოს თუ ხელშეკრულების საგანზე - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე გაცემულია ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზია, ჭაბურღილებთან, აგრეთვე კანონმდებლობის შესაბამისად ჭაბურღილების ექსპლუატაციისათვის საჭირო ფართობთან ნავთობისა და გაზის რესურსების გენერალური ლიცენზიის მფლობელის შეუზღუდავად მისვლისა და მის მიერ ლიცენზიით სარგებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სარგებლობის უზრუნველყოფა.

6.1.2. არ განახორციელოს ღონისძიებები, რომელიც გამოიწვევს ნავთობისა და გაზის რესურსების გენერალური ლიცენზიის მფლობელისათვის ლიცენზიის პირობების შესრულებაში ხელშეშლას.

6.2. ხელშეკრულების 6.1. და 6.2. შეუსრულებლობა გამოიწვევს ხელშეკრულების უპირობოდ შეწყვეტას და მყიდველის მიერ ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების დაკარგვას.

6.3. ხელშეკრულების 6.1.1. და 6.1.2. ვალდებულებები რეგისტრირებულ იქნება საჯარო რეესტრში, თანახმად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ „ქვემო ქართლი 2009"-ს 2012 წლის 7 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების 3.1.3 და 3.1.4 მუხლებისა და თანახმად სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 17 ოქტომბრის № 4/1468 წერილისა.

## 7. დავათა გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა შეიძლება გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადაწყვეტისათვის მოსარჩელე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

„ქონების გადამცემი" „ქონების მიმღები"

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N121298054

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 05.12.2012 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

ნოტარიუსი ნატა გრძელიშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი ქ.თბილისი. ჭავჭავაძის გამზირი 56.

სანოტარო ბიუროს ტელეფონი 832 222--01-16

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი 75394823083712

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას თორმეტი წლის ხუთ დეკემბერს მე, ნოტარიუს ნატა გრძელიშვილის შემცვლელ პირს მარიამ გოგაძეს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №56, მომმართა ბესიკი ვარდიაშვილმა (პ/ნ12001021689). მისი თხოვნითა და მასთან შეთანხმებით გამოვცხადდი მისამართზე: გარდაბნის რ-ნის სოფ. თელეთის საკრებულოში, სადაც მომმართეს ბესიკი ვარდიაშვილმა და კახაბერი ლალიაშვილმა რომლებმაც წარმოადგინეს 2012 წლის ხუთ დეკემბერს დადებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების 5 (ხუთი) ეგზემპლარი და მოითხოვეს თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

ამასთან ბესიკი ვარდიაშვილმა განაცხადა, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელს მოაწერს, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქვემო თელეთი 2009"-ს (ს/კ 226579805) წარმომადგენელი – თავმჯდომარე.

მე შევამოწმე მათი პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბესიკი ვარდიაშვილმა (დაბადებული 23.05.1982 წელს გარდაბანში, პირადი № 12001021689 რეგისტრირებული მისამართზე: გარდაბანი, სოფ. თელეთი) და კახაბერი ლალიაშვილმა (დაბადებული 17.03.1977 წელს გარდაბანში, პირადი № 12001064689 რეგისტრირებული მისამართზე: გარდაბანი, სოფ. თელეთი) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე: წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერების დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერები ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირებს ეკუთვნით. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე. ამის შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით, პირადად შეასრულეს ხელმოწერები წინამდებარე ხელშეკრულების 5 (ხუთ) ეგზემპლარზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 20 (ოცი) ხელმოწერისათვის საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება №507-ის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 40.00 (ორმოცი) + ამავე დამატებითი 34-ე მუხლის შესაბამისად სანოტარო ბიუროს გარეთ მომსახურებისათვის 8.00 (რვა) ლარი + 2.00 (ორი) ლარი ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად. სულ: 50.00 (ორმოცდაათი) ლარი.

ნოტარიუსის მოვალეობის შემსრულებელი პირი ________ მარიამ გოგაძე